ველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. ...1965 წელს საბჭოთა კავშირის „გოსკინოს“ მიერ დამტკიცების შემდეგ მოსკოვის კინოსახლში, „ხევსურული მალაღას“ პრემიერა გაიმართა. პრემიერის დამთავრებისთანავე მქუხარე აპლოდისმენტებისა და ოვაციების ფონზე მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ფილმის აწვანებულ მთავარი რეჟისორი შოთა მანაგაძე, დიდი ქართველი მსახიობები ლეილა აბაშიძე, თენგიზ არჩვაძე და სხვები. უწყვეტი ტაშის გრაიმში დარბაზი გუგუნებდა და ფილმის შემქმნელებიც მადლიერების ნიშნად თავს დაბლა ხრიდნენ მაყურებლის წინაშე. მაგრამ მაყურებელი არ ცხრებოდა, მას სხვა რამ სურდა და ეს მათ წარმოსახვაში „მთავარი როლის“ შემსრულებელი იყო, რომლის გამოსვლასაც დაიწყებოდა მოითხოვდნენ. სინამდვილეში კი როგორც ქართველმა მაყურებელმა იცის, ეს ფილმის მეთვრე რიგის ხევსური ვაჟაყვის, სახელად აპარეკას როლის შემსრულებელი გახლდათ, რომელიც ზურაბ ქაფიანიძე განსახივრა. სწორედ მისი ხილვა სურდა მაყურებელს და დარბაზში გაისმოდა: „ГЛАВНОГО АРТИСТА, ГЛАВНОГО...“ აღრესატი კი მისთვის ჩვეული ოლიმპიური სიმშვიდით კულისებში იდგა და გადგებოდა, მისმა ავტორმა მატონმა ანზორ აბუ-ლაშვილმა ჩვენს გმირს გადასცა და უთხრა: -ამ ლექსის შექმნისას შენ მასხინდებოდი ზურაბ. ყურში შენი ხმა ჩამესმოდა და შთაგონებას მაძლევდა. ასე, რომ ეს ლექსი შენც გეძღვნება, რადგან იმ დამეს შენ მითარაღეთა მიერ განწირულ ხალხთან მედგრად იღეფი და ბევრი მავზე და ქალმატონი იხსენი განსაცდელისგან. სწორედ შენ უნდა წაუკითხო ჩვენს თანამემამულეთ იმ დამეს დამადებულ მიჯნებს და გოგონებზე, რომლებიც უკვე თავისუფალ საქართველოში იცხოვრებენ... ...1989 წლის აპრილის ბოლოს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის საექტო დარბაზში სტუდენტებისათვის ზურაბ ქაფიანიძის შემოქმედებით სარგებო კითხვა. ქართველ პოეტთა მრავალი ლექსი და გიმნაზიკური სიმღერები წარსდგა შეასრულა ქვირფასმა სტუმარმა. მაყურებელი მხურვალე ოვაციებითა და აპლოდისმენტებით ავილოდებდა მათთვის საყვარელ და ნამდვილ სახალხო მსახიობს. საღამო დასასრულისკენ რომ წავიდა, მატონი ზურაბი განსაკუთრებით სიმშვიდით წარსდგა სტუდენტთა წინაშე. და წყნარად წარმოთქვა: - „წუხელის მიჭი დაბადებულა“ ვიდრე სადმე დაიბეჭდებოდა, მისმა ავტორმა მატონმა ანზორ აბუ-ლაშვილმა ჩვენს გმირს გადასცა და უთხრა: -ამ ლექსის შექმნისას შენ მასხინდებოდი ზურაბ. ყურში შენი ხმა ჩამესმოდა და შთაგონებას მაძლევდა. ასე, რომ ეს ლექსი შენც გეძღვნება, რადგან იმ დამეს შენ მითარაღეთა მიერ განწირულ ხალხთან მედგრად იღეფი და ბევრი მავზე და ქალმატონი იხსენი განსაცდელისგან. სწორედ შენ უნდა წაუკითხო ჩვენს თანამემამულეთ იმ დამეს დამადებულ მიჯნებს და გოგონებზე, რომლებიც უკვე თავისუფალ საქართველოში იცხოვრებენ... ...1989 წლის აპრილის ბოლოს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის საექტო დარბაზში სტუდენტებისათვის ზურაბ ქაფიანიძის შემოქმედებით სარგებო კითხვა. ქართველ პოეტთა მრავალი ლექსი და გიმნაზიკური სიმღერები წარსდგა შეასრულა ქვირფასმა სტუმარმა. მაყურებელი მხურვალე ოვაციებითა და აპლოდისმენტებით ავილოდებდა მათთვის საყვარელ და ნამდვილ სახალხო მსახიობს. საღამო დასასრულისკენ რომ წავიდა, მატონი ზურაბი განსაკუთრებით სიმშვიდით წარსდგა სტუდენტთა წინაშე. და წყნარად წარმოთქვა: - „წუხელის მიჭი დაბადებულა...“ ლექსის დამთავრებას მეტყველი მღუმარებით შეხვდა დარბაზი. მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ ამ ლექსის ქაფიანიძის დეკლამირებაზე, მან ეს ჩვენზე უკეთ იცოდა, მაგრამ შოი, საოცრებაც! ლექსის უკანასკნელი სტრიქონი კარგა ხანია ჩათავდა, დარბაზი კი ჯიუტად დუმს. დალოლი დეკლამატორი ოფლს იწმენდს და სკამზე ჯდება. ორიოდ წამს კვლავ სუფეს ლემილი და შემდეგ მართლა საოცრება მოხდა. დარბაზში, თითქოს ჩაკეტილ ბირთვულ სივრცეს სარქველი მოხადეს, ისე იფეთქა ენითაყურებელმა მაყურებელმა და გამბულმა გუგუნმა. ეს არ იყო ჩვეულებრივი აპლოდისმენტები და ოვაციები. გამორჩევიებული სახეობით ფეხზე წამოდგარი ახალგაზრდები აღფრთოვანებული შეძახილებით და სიყ-



ოდა ახლა უკვე გმირად შერაცხულ ზეიად ხევსურ ვაჟაყვის მოსკოვის მადლიერი მაყურებელი... ზურაბ ქაფიანიძის საოცარი სიყვარულით რომ უყვარდა თავისი სამშობლო, დღეს მთელმა საქართველომ იცის და არა მგონია ვინმეს უცნაურად ეჩვენოს ზემოაღნიშნული სცენა, რომელიც დიდი პატრიოტის, დიდი მსახიობის და გადუჭარმებლად დიდი მეცნიერის მიერ ორმოცი წლის წინ გაკრის მთაზე რომ გათამაშდა. ხოლო რაც შეეხება მის სამეცნიერო მოღვაწეობას ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამას ადასტურებს უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სამჭერ გამოცემული წიგნი: „კაცობრიობის პირველი ანგაი - მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა“. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მახსენდება, რომელიც ხაზს უსვამს მატონ ზურაბ ქაფიანიძის სამეცნიერო მოღვაწეობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი მიღწევები მიუხედავად, იგი მოკრძალებული იყო სამეცნიერო სამყაროს მიმართ და დიდი პრეტენზიები და ამბიციები არასოდეს ჰქონია. მხოლოდ მისი ცდაში იყო თავისი სამეცნიერო მიღწევების შესახებ ქართული ანგაის საკითხებში თავისი მოსაზრებები ავტორიტეტული მეცნიერებისათვის გაეზიარებინა. მაგრამ, არც მაღალი და, არც დაბალი რანგის ქართველი მეცნიერები მის საქმიანობას სერიოზულად არ აღიქვამდნენ. გამონაკლისი იყო მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ანგანსეველი გიორგი ციციშვილი. მისი რედაქტორობით გამოვიდა ზურაბ ქაფიანიძის და აკადემიკოს თემურ მიმჭუანის წიგნთა პირველი და მეორე გამოცემები. მეცნიერთაგან გულანდკვენი ზურაბი ხშირად სტუმრობდა აკადემიკოს-მდივანს აკადემიაში და მისადმი მეცნიერების უსულგულო დამოკიდებულებაზე ესაუბრებოდა.

ვარულით ესაღმებოდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მამულიშვილს...

სამედიცინო 1992 წლის გაზაფხულზე, როცა აფხაზეთში დაძაბულობა პიკს მიახლოვდა, ქართველ-აფხაზთა მეგობრობის კიდევ ერთი მოჩვენებითი ზეიმი გაიმართა. ცერემონიალს მთავარი სცენიდან უძღვებოდა თეატრისა და კინოს უმაღლო ოსტატი, დიდი ეროსი მანგალოძე. ცხენებზე ამხედრებული, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი აფხაზ უხუცესთა ანსამბლი რამდენიმე ახალგაზრდის თანხლებით ენგურზე გადმოვიდნენ და „რუხის ციხესთან“ სახელდახელოდ მოწყობილ მეორე სცენაზე აფხაზური ქორწილის ინსცენირება წარმოადგინეს. „ქორწილი“ იმდენად დიდხანს გაგრძელდა, რომ ზეიმის პროგრამის ჩარჩოებს გასცდა და თავხედობაშიც კი გადაიზარდა. მატონმა ეროსიმ ფოტოაპარატით სცენის წინ მდგარ თქვენს მონა-მორჩილს იუმორით მიიხილა, გამიჩუმე ეგ „მე-ქორწილენიო“. ჩვენი ზრდილობიანი თხოვნა, დაესრულებინათ წარმოდგენა უგულბებლად... და როგორც იქნა ჩაათავს ალღუმი კუდაზმუეულმა „მსახიობებმა“. ზეიმის დასრულების შემდეგ, ტრადიციისამებრ სუფრა გაიმართა. აფხაზთა დღევანდელი კი წასვლას აპირებდა. ეს კი აშკარა დემაში იყო მათი მხრიდან. ვინ არ სთხოვა დარჩენილიყვენ, მაგრამ ისინი თავისას არ იმლოდნენ.

ისევ ჩვენმა გმირმა იმარჯვა. დინჯად წარუდგა აფხაზებს დღევანდელი „კოტორაშვილი“ და დამაჯერებლად მიმართა: - მტრებს ნუ გავახანგრებთ ძმებო, თორემ ამ დედამიწის ზურგზე არავინა ჩვენი მშველელი. მაშინ კი ვაჭრა ამ შეგონებამ, მაგრამ სულ ორიოდვე თვის შემდეგ...

მატონმა ზურაბმა ძვირფასი შეუღლესთან, თამართან ერთად დასიძულა შვილები დატოვა - ლელა, მერდი და მეჩუ ქაფიანიძეები, რომლებიც სახელოვანი მამის სახელს დიდი რულუნებითა და თვალისჩინებით უფრთხილდებიან.

მაგინა ამომგნ ზურაბ ქაფიანიძე ჩემი მეგობარი იყო. დიახ, მათ ამის უფლება ნამდვილად აქვთ, რადგან ზურაბს იმხელა დიდი გული ჰქონდა, რომ მთელი საქართველო ეტეოდა. და სრულიად საქართველო იყო მისი მეგობარი. ტყუილად კი არ ამბობდა, „მე მთელი საქართველო ხელის გულზე მახატიაო“.

მომიტვეთ ეს კადნიერება, მაგრამ აფხაზეთში ცხოვრების მიუხედავად თქვენს მონა-მორჩილს მასთან ნახევარსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. მედნიერება შევად წილად მისი წიგნის მესამე დასრულებული ვერსიის რედაქტირებისა. სწორედ ამიტომ თავს უფლებმა მივეცი, მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა დიდი ქართველი მსახიობის, მეცნიერის და კაცობის განსახიერების ცხოვრების მოკვირთი ეპიზოდი.

ქართველ ხალხს ზურაბ ქაფიანიძემ სამარადისოდ დაუტოვა პატრიოტიზმის ზეადმაული სუბსტანციის კიდევ ერთი შედევრი. ქართული ფილმის „ივანე კოტორაშვილი“ მთავარი როლის, ივანეს შემსრულებელი, ჩვენი დროის დიდი ქართველი მსახიობი ფილმის დამაგვირგვინებელ აკოვრდში მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი და არაჩვეულებრივი მარიტონით დიდი შთაგონებით მღერის რ. ერისთავის ლექსზე „სამშობლო ხევსურისა“ შექმნილ სიმღერას: „...სამშობლო დედის ძეძუი, არ გაიცივლებს სხვაზედა...“ და ა.შ. დიდი მგოსნის ეს ფრთოსანი სიტყვები სრულიად ესადაგებოდა ჭეშმარიტად სამშობლოს სიყვარულით აღსავსე დიდებულებთან ქართველ ქველ ვაჟაყვის ზურაბ ქაფიანიძის, ხევსურის „ტირადამი“ მისი გულიდან ამონათქვამი მგზნებარე სიტყვები სწორედ ჩვენმა გმირმა გაითავისა, შეისიხლხორცა და მათ არამარტო სცენაზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში განასახიერებდა. და, სწორედ ამ ლექსის დედაბარი იყო მისი ცხოვრების კრედი და მუდმივი თანამგზავრი.

ლიბიტრი მუსაშვილი



ოპენჰაიზერი-

რატომ ვერ შექმნას ნაცისტებმა ატომური ბომბი ამერიკაზე აღრე?

1945 წლის გაზულში, შეერთებულმა შტატებმა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბი ჩამოაგდო. თუ როგორ შეიქმნა ბირთვული იარაღი შეერთებულ შტატებში, დღეს უკვე კარგად არის ცნობილი. თუმცა, რამდენად წინ იყვნენ ამ მიმართულებით მისწრაფები ნაცისტურ ბერლინში, DEUTSCHE WELLE-მ ბარაკშია.

რა სდებ?

1938 წლის ბოლოს, ორმა გერმანელმა ქიმიკოსმა ოტო ჰანმა და ფრიც შტრასმანმა აღმოაჩინეს ბირთვული დაშლის პროცესი, რომლის დროსაც ატომის ბირთვი ორ ან სამ ნაწილად იყოფა და ამის შედეგად, უზარმაზარი ენერჯია გამოიყოფა. ფიზიკოსები მიხედნენ, რომ ამ ენერჯიის გამოყენებით შესაძლებელი იყო ძლიერი ბირთვული ბომბის დამზადება, რომელსაც მთელი მოლაქების განადგურება შეეძლო. სწორედ მისი შექმნის მიზნით, დაარსდა ე.წ. „ურანის კავშირი“ (Uranverein), რომელსაც დიდი ინდუსტრიის წარმომადგენლები და სამხედრო ლობისტები მხარს უჭერდნენ.

საქმეში ბირთვული მეცნიერებაც ჩაერთნენ. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი გასაიდუმლოებული იყო, ინფორმაციამ ნაცისტური გერმანიიდან ვაქცეული მეცნიერების წყალობით გაჟონა. მათ შორის იყო ალბერტ აინშტაინი, რომელმაც 1939 წელს აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი გაათხოხლა. მუწერებია, რომ ნაცისტების მიერ საიდუმლო იარაღის შემუშავების ამბავმა მთელი მსოფლიო შეაშფოთა.

ამ ინფორმაციაზე აშშ-ის პასუხი მანჰეტენის პროექტი გახდა. მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში, 1942 წლის ზაფხულში, რობერტ ოპენჰაიმერის ხელმძღვანელობით, ურანისა და პლუტონიუმის გამოყენებით, ატომური ბომბის შექმნის პროგრამა დაიწყო. ნაცისტური რეჟიმის მიერ ანალოგიური პროექტის განხორციელების შიშმა აშშ-ის ადმინისტრაციას აიძულა, დაუყოვნებლივ და გადამწყვეტი ქმედებები დაეწყო. უზარმაზარი ფინანსური ინვესტიციების წყალობით, ოპენჰაიმერსა და მის გუნდს ბირთვული იარაღის წარმატებული გამოცდის მომზადებისა და განხორციელებისთვის მხოლოდ სამი წელი დასჭირდა. 1945 წლის 6 აგვისტოს, შეერთებულმა შტატებმა კუკობრიოების ისტორიაში პირველად გამოიყენა სამხედრო ბირთვული იარაღი. კერძოდ, ვაშინგტონში ჰიროსიმაში ჩამოაგდო ატომური ბომბი სახელად – „მიტჩუნა“. დარტცემის ტალღის შედეგად, დაახლოებით 70 000 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, კიდევ 200 000 ადამიანი კი რადიაციის ზემოქმედების შედეგად გარდაიცვალა. სამი დღის შემდეგ, 9 აგვისტოს, კიდევ ერთი ამე-

რიკული ატომური ბომბი, პლუტონიუმის „მსუქანა“ ჩამოაგდეს ქალაქ ნაგასაკიში, რის შედეგადაც კიდევ 74 000 ადამიანი დაიღუპა.

რას ამბობენ ფერმ-პოლის სტენოგრაფები?

„მთელი ამ ისტორიიდან არც ერთი სიტყვის არ მანაა“, – განაცხადა ვერნერ კარლ ჰაიზენბერგმა, გერმანელმა თეორიულმა ფიზიკოსმა, 1932 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა ფიზიკაში და მესამე რაიხის ბირთვული პროექტის ხელმძღვანელმა, როდესაც ჰიროსიმას შესახებ მოხსენება მოისმინა.

იმ დროს ჰაიზენბერგი და სხვა ცხრა წამყვანი ბირთვული ფიზიკოსი, რომლებიც გერმანიაში მიმდინარე კვლევებში იყვნენ ჩართული, სტაჟირებაზე გაგზავნეს ფერმ-პოლში, კემბრიჯთან ახლოს მდებარე ინგლისურ დასახლებაში. ბრიტანელები ფარულად უსმენდნენ მათ საუბრებს, რათა ნაცისტების ბირთვული პროექტების შესახებ რაც შეიძლება მეტი გაეგო. შესაბამისად, ყველა ოთახი მოსასმენი მოწყობილობებით იყო აღჭურვილი. ჩანაწერების განსაიდუმლოება კი მხოლოდ 1992 წელს მოხდა.

ჰაიზენბერგის ნიჰილიზმს სხვა ფიზიკოსებში იზიარებდნენ. მათი უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ეს იაპონიის კაპიტულაციისკენ მიმართული ფანდი იყო. ოტო ჰანის თქმით, მას არ სჯეროდა, რომ ასეთი ბომბის შექმნა მომდევნო 20 წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო. ჰაიზენბერგისა და ჰანის რეაქცია ადასტურებს, რომ გერმანული პროგრამა ბირთვული იარაღის ფაქტობრივი შექმნისგან შორს იყო. შეერთებულმა შტატებმა გერმანიის ურანის პროექტის განვითარების დონე აშკარად გადააჭარბებინა შეაფასა და ეს მხოლოდ ფერმ-პოლის ჩანაწერების წყალობით გახდა ნათელი, – ამბობს DW-სთან საუბარში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის გერმანელი-იაპონელი ისტორიკოსი ტაკუმა მულჩერი.

როდესაც მანჰეტენის პროექტი აქტიურ ფაზაში იყო, ნაცისტების ბირთვული იარაღის პროგრამა უკვე, ფაქტობრივად, მკვდარი გახლდათ. გერ-

მანელმა მკვლევრებმა გააცნობიერეს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი ვერ გადატანდნენ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას – იზოტოპების იზოლირებას ატომური ბომბის შესაქმნელად. მათ ვერ შეძლეს ბირთვული დაშლის ჯაჭვური რეაქციის წარმატებით დაწყება და ვერც ურანით გამოდიდრების ეფექტიანი გზა იპოვეს. 1942 წლის ივლისში პროგრამა დაიხურა და მისი კვლევა გერმანიის ცხრა სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტში გადაინაწილდა.

ისტორიკოს მელბერის თქმით, 1942 წლამდე პროგრამა სამხედრო პროექტი იყო, შემდეგ კი სამოქალაქო გახდა. განახლებული ინიციატივის მიზანი იყო ბირთვული რეაქტორის შექმნა, რომელსაც მცირე მასშტაბით ბირთვული დაშლა შეეძლო. ჰაიზენბერგმა და მისმა გუნდმა ჩაატარეს ექსპერიმენტები კვლევით რეაქტორზე ქვის სარდაფში, ჰაიდელბერგის ციხესიმაგრის ეკლესიის ქვეშ, დღევანდელი ბადენ-ვიურტემბერგის ტერიტორიაზე. თუმცა საქმე წინ არ წასულა და რეაქტორი ვერ აშუშავდა, რადგან არ იყო საკმარისი ურანი ჯაჭვური რეაქციის დასაწყებად. თუმცა მკვლევრები საბოლოო შედეგთან ძალიან ახლოს იყვნენ. დღეს ითვლება, რომ რეაქტორში 50%-ით მეტი ურანი რომ ყოფილიყო, გერმანელები პირველი ბირთვული რეაქტორის შექმნას შეძლებდნენ.

ნარუმატებლობის ძირითადი მიზეზები

რატომ ჩამოშალა ნაცისტური ბირთვული პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობით წამყვანი მეცნიერები მონაწილეობდნენ პროექტში? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ნაცისტურმა გერმანიამ საუკეთესო სპეციალისტები დაკარგა.

გერმანული და პოლონური წარმოშობის მრავალი მეცნიერი იძულებული გახდა, დევნის გამო ვაქცეულიყო. მაგალითად, ებრაელი ფიზიკოსი ლიზა მაიტენერი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო და ჰანისა და შტრასმანის მიერ ბირთვული დაშლის აღმოჩენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ზოგიერთი მათგანი, ვინც გერმანია დატოვა, მოხვდა დიდ ბრიტანეთში ან შეერთებულ შტატებში, სადაც ისინი მანჰეტენის პროექტს შეუერთდნენ. გარდა ამისა, გერმანიაში დარჩენილი ბევრი მეცნიერი ფრონტზე გამოიძახეს. ომმა ასევე გამოიწვია კვლევებისთვის საჭირო ნედლეულის დეფიციტი, – განმარტავს ტაკუმა მელბერი. უპირველეს ყოვლისა, საუბარია გამოდიდრებულ ურანსა და რეაქტორების გაგრილებისთვის საჭირო წყალზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პოლიტიკური მხარდაჭერის ნაკლებობა იყო. საბოლოოდ, სწორედ ამან შეაჩერა სამეცნიერო პროგრესი „შესაძე რაიხში“. ჰიტლერს არ ესმოდა ამ წამოწყების მნიშვნელობა და 1942 წელს მისი დაფინანსება შეწყვეტა, – ამბობს ისტორიკოსი მელბერი. მანჰეტენის პროექტთან შედარებით, გერმანულ წამოწყებას მხარდაჭერა საერთოდ არ ჰქონია. მასში 500 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული, ე.ი. იმ დროისთვის შეერთებული შტატების მთელი შრომის ბაზრის დაახლოებით 1%-ი, მთავრობამ კი დაახლოებით ორი მილიარდი აშშ დოლარი გამოჰყო. დღეს ეს თანხა 24 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტია.

რამატორები ბომბების ნაცვლად

ფერმ-პოლში გაკეთებული საიდუმლო ჩანაწერები ნაცისტების წარუმატებლობის კიდევ ერთ მიზეზს ააშკარავებს. თავად ამ პროექტის მონაწილე მეცნიერები, თავიანთი მონალური დირექტორების პერსპექტივიდან, ატომური ბომბის შექმნის წინააღმდეგი იყვნენ და მის ფარულ სამართაუს ეწეოდნენ. ცნობილია გერმანელმა ფიზიკოსმა კარლ ფრიდრიხ ფონ ვაიც-სავერმა, რომელიც პროექტში მონაწილეობდა, მოგვიანებით, ბირთვული იარაღის შექმნაზე უარი განაცხადა. ვიფორმ, წარმატებას იმით ვერ მივაღწევთ, რომ ფიზიკოსების უმრავლესობას არ სურდა, ეს პროექტი გამოსულიყო. ჩვენ ყველას რომ გვდომოდა ომი გერმანიის მოვით, წარმატებასაც მივაღწევდით“, – განმარტა მან.

ჰიროსიმას ატომური დაბომბვის დღეს ჰაიზენბერგმა აღიარა: „არასდროს მეგონა, რომ ბომბს გავაკეთებდით და გულის სიღრმეში ძალიან მიხაროდა, რომ ეს იქნებოდა რეაქტორი და არა – ბომბი“. ფერმ-პოლში მყოფი გერმანელი მეცნიერები იმედოვნებდნენ, რომ ბირთვული ბომბის შექმნიდნენ ამერიკელები და ბრიტანელები, ბირთვულ რეაქტორს კი – გერმანელები.

„ჩვენ არ გვინდა, პუბლიკს ასეთი სამიზნეები მივსაოთ“



სამიზნეები მივსაოთ

ილი ბრიცანუს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დევიდ კემერონმა გამოაცხადა უკრაინაში ბრიტანული ჯარების განლაგება, – ინფორმაცია ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა The Times-ი ავრცელებს. კემერონმა ურაცო პრეზიდენტ მაკრონის მიერ გაკეთებული წინადადება უკრაინაში ნატოს ჯარების განლაგების შესახებ. ბრიტანულმა ნატოს სამიტზე კემერონს ვითხვა დაუსვეს, შესაძლებელია თუ არა ბრიტანული ჯარების გაგზავნა უკრაინაში. „არა, ჩვენ არ გვინდა პუბლიკს ასეთი სამიზნე მივსაოთ“, – აღნიშნა ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

აშუ და ბერბანია ენინააღმდეგობიან უკრაინის უკრაინის ნატოში მიწვევას



უკრაინის ნატოში მიწვევას

მსოფლიო და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საუბრებში უკრაინის ვიცე-პრეზიდენტმა, ოლგა სტეფანენკომ დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები და გერმანია ეწინააღმდეგებიან უკრაინის ნატოში მიწვევას.

The New York Times-ის ინფორმაციით, ვაშინგტონის სამიტზე უკრაინასთან გაწვევიანებაზე მოლაპარაკებების დაწყებას ეწინააღმდეგებიან გერმანია და აშშ.

„მას შემდეგ, რაც ეს ინფორმაცია საჯარო გახდა (The New York Times-ის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ), აშშ და გერმანია ახლა ცდილობენ ყურადღება გადაიტანონ სექსპიკურებზე, როგორცაა უნგრეთი და სლოვაკეთი. მაგრამ მთავარი პოზიცია სწორედ ამ ორ ქვეყანას ეკუთვნის“, – აღნიშნა ოლგა სტეფანენკომ. მისი თქმით, შეერთებული შტატები და გერმანია ეწინააღმდეგებიან უკრაინის ნატოში მიწვევას, რადგან ეს უკვე რეალური გადაწყვეტილებაა და ისინი ეწინააღმდეგებიან დამატებით ეტაპებს.

ირანი ისრაელს სამაგიეროს გადაუხდის

ირანმა შეიარაღებული ძალები სრულ მზადყოფნაში მოიყვანა. მიზეზი კი სირიაში, ირანის საკონსულოზე განხორციელებული თავდასხმა გახდა.

შეერთებული შტატების დაბვერვას აქვს ინფორმაცია, რომ ირანი საპასუხო შეტევისთვის ემზადება, რაც გულისხმობს თავდასხმას დრონებისა და საკრუიზო რაკეტების გამოყენებით.

ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებმა პირველ აპრილს დამსკოში, ირანის საელჩოს საკონსულო განყოფილებაზე სარაკეტო იერიში მიიტანეს, რის შედეგადაც 13 ადამიანი დაიღუპა. ირანის ხელისუფლებამ ისრაელს დააკისრა და საპასუხო ქმედების პირობა დადო. ირანის პრეზიდენტის, ებრაჰიმ რაისის თქმით, სირიაში ირანის საკონსულო განყოფილებაზე ისრაელის თავდასხმები უპასუხოდ არ დარჩება.





„რა ესმოდის მღერა ემისა, სმენად“... რკონშიც გაირინდნენ...

გელა ქოქიაშვილის სახით ვანო სარაჯიშვილის და ნიკო ქუმისიაშვილის შემდეგ კიდევ ერთი გამორჩეული მომღერალი მოგვევლინა აღმოსავლეთ საქართველოდან.

დავით ანდლულაძე,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

მალხაზის პარტია შენი ხმისთვისაა შედგამოქრული. ვინც საერთოდ მომისმენია – „თავო ჩემო“ შენაირად ვერავინ ასრულებს.

დიდო მირცხულაძე,
დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

ორი ათეული წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც მხარგრძობა შურნაღისებრი და აღმართული მთარგმნელი, მხარგრძობა და უპოვოებისებრი მხარგრძობა გომიარაღობა საიუბილეო დღეობა რკონის ხეობაში გადის. უამრავ სტუმარსა და ახლომდებარე მხარის მხედა მდინარეზე, მეც მიმელო მასში მონაწილეობა. ტყის პირზე, მდინარის ნაპირას გაშლილ ქართულ მამაპაპურ სუფრასთან, უვევ კარგა ხნის შეჭაჭკვებულნი რომ ვიყავით, მოულოდნელად ფართოსანთა უივევი, მდინარის ჩუხჩუხი და მოქვიფეთა ყრიაშვილი მართლაც დეტალებზე მამა შეაჩენა. ყველა გაშეშდა, სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და მუხის უზარმაზარ ხეზე ცალხელმყრდნობილი კაცისკენ მზერაგაქვევებულნი ვისმენდით მართლაც განუყოფელნი „თავო ჩემო“. ეს ახოვანი ადამიანი, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა უამრავი სტუმრისგან, მოულოდნელად ყველას ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. „თავო ჩემო“ ნეაპოლიტანური სიმღერა და „როგოლა“ მოჰყვა.

იმ საოცარ დღეს გავიყვანი გელა ქოქიაშვილი, შემდეგ რედაქციამაც ხშირად გვსტუმრობდა და საინტერესო წერილები მოჰქონდა არა მარტო ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებზე, არამედ მსოფლიოში აღიარებულ საოპერო მომღერლებზე – ენრიკო კარუზოზე, ტიტო ნუფოზე, თევდორე პალოაინზე, ლუჩანო პავაროტიზე და პოლსილო დომინგოზე, თანამედროვე მომღერლებსა და ღირსეულ ადამიანებზე, შიგადაშიგ მხატვრულ-დოკუმენტური ნოველებიც. შემდგომში ყველა ეს წიგნებდა და მზოქურებადაც გამოსცა. საერთო ჯამში ქართველმა მკითხველმა და მუსიკის მოყვარულმა გელა ქოქიაშვილის 14 წიგნი და 1300-ზე მეტი პუბლიცისტური ნარკვევი დააჭაბნივეს. სულ ახლახან კი მკითხველმა მიიღო შესანიშნავი თარგმანი ლეგენდარული მარია კალასის წიგნისა „მარია კალასის სასიყვარულო წერილები“.

სასულიერო მოღვაწე დავით ქოქიაშვილი გასული საუკუნის დასაწყისში, 1907 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ მანანარის ყოვლადწმინდა სამების ეკლესიის წინამძღვრად დაუნიშნავთ, პარალელურად სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სკოლის მასწავლებლადაც მსახურობდა სოფელ ვაქარში, სადაც შემდგომ მიწებზე შეიძინა და სახლიც გაშენდა.

ქოქიაშვილების სახლი ცნობილი აკაკის ხის სახლიოვს იდგა, რომელიც ამჟამად ორსაუკუნეანახევრისაა. დავითი გამორჩეული და დაფასებული პიროვნება გახლდათ, ხალხში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, არჩეული იყო სამთავარხუცესო სამტკოს წევრად, დაჯილდოვებული გახლდათ სავგერდულით და იმ პერიოდისთვის დიდად პროვანსულ პიროვნებად ითვლებოდა.

ქოქიაშვილების ოჯახი არა მარტო სტუმართმოყვარეობითა და შინაგანი კულტურით გამოირჩეოდა, არამედ ყველასთვის ცნობილი იყო როგორც საეკლესიო და ხალხური სიმღერების უზადლო შემსრულებელიც. დავით ქოქიაშვილი თავის დროზე სანდრო კავსადის გუნდშიც ირიცხებოდა, ახლოს იცნობდა და მეგობრობდა ლეგენდარულ ვანო სარაჯიშვილთან, მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა ვაჟა-ფშაველაც, რომლის მიძაშვილიც ვაქარში ცხოვრობდა. მგონის სტუმრობა ქოქიაშვილების ოჯახში დიდი პიროვნებით მთავრდებოდა. სხვათა შორის, დავით ქოქიაშვილის ოჯახში დიდხანს იმალეობდა 1910 წელს ციმბირის გადასახლებიდან გამოქცეული იოსებ სტალინი, რომელიც დავითის ძმასთან – ლადო ქოქიაშვილთან ერთად სწავლობდა სემინარიაში. „ქოქიაშვილების ოჯახში ქათმებიც მღერიათ“ – მთარულ ფრაზად დადიოდა კახეთში.

გასაკვირი არცაა, რომ სიმღერის სიყვარული ოჯახის წევრებსაც და შთამომავლებსაც გადასცემოდა – 1939 წელს, აღდგომის დღეს, 9 აპრილს დაზადებულ გელა ქოქიაშვილსაც, დავით ქოქიაშვილის შვილიშვილს, მთელი ცხოვრება გაჰყვა პაპისა და წინაპრების გენი.

„მამა – გიორგი ქოქიაშვილი – სპეციალობით ექიმი-სტომატოლოგი, დედა – ანა ტენაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლდათ. დავიბადე თბილისში. ოჯახი ქალაქში დარჩენის პირობებში, მაგრამ ომის დაწყებისთანავე ვაქარში დავბრუნდით. პირველი ოთხი წელი სოფელ მანანარის რეაქციონ სკოლაში ვსწავლობდი. მეხუთე კლასიდან ვაქარის საშუალო სკოლაში გადავედი“ – ისწავებს ბატონი გელა. სოფელში გატარებულმა წლებმა დიდი გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სასკოლო სპექტაკლებსა თუ ლიტერატურულ საღამოებში, უკრავდა აკორდეონზე. სწორედ ამ დროს აკომპანიმენტი ვაუკეთა სოფელში გასტროლებზე ჩამოსულ ვასო გოძიაშვილის ქალაქურ სიმღერებსა და სკეტჩებს. ეს დიდი სტიმული იყო 15 წლის ბავშვისთვის.

გელა ქოქიაშვილმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო. სიმღერისადმი სიყვარულმა ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმშიც გადააწყვეტინა პარალელურად სწავლა. ჩაბარა კიდევ, მაგრამ შკაცრი რეჟიმი და სასწავლო დატვირთვა არ მოეწონა და თავი დაანება სწავლას. მიუხედავად პედაგოგთა თხოვნისა, სასწავლებელში არ დაბრუნდა. ქუთაისის სასოფლო ინსტიტუტი სოხუმში გადაიტანეს. გელა ქოქიაშვილმა სწავლა ახლა სოხუმში გააგრძელა, სწორედ აქ ჩამოაყალიბა სტუდენტებთან ერთად ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელმაც არაერთ საქველმოქმედო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ანსამბლს ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად რეპერტუარში ჰქონდა აფხაზური სიმღერებიც. ანსამბლმა რამდენიმე სიმღერა ჩაწერა კიდევ აფხაზეთის რადიოში.

დედაქალაქში გადმოსვლის შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი კვლავ მუსიკათა გატაცებული და ტრამპაი-ტროლეიბუსების სახელმწიფო ანსამბლის წევრი ხდება. წარებით გამოდის არა მარტო საქართველოს ქალაქების სხვადასხვა სცენაზე, არამედ მოსკოვის საკონცერტო დარბაზებშიც, როგორც სოლო მომღერალი.

მუსიკის სიყვარულმა თავისი გაიტანა – 1965-79 წლებში გელა ქოქიაშვილი ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტიცა პროფესორ დავით ანდლულაძის კლასში. მონაწილეობას ღებულობს როგორც აკადემიურ კონცერტებში, ასევე საოპერო სტუდიის მიერ დაგეგმილ საოპერო სპექტაკლებში. 1971 წელს გელა ქოქიაშვილი ბაქარია ფალიაშვილის სახელობის ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი გახდა და გაიმარჯვა მილანის „ლა სკალას“ თეატრში სტაჟირებაზე გასაგზავნთა საკავშირო კონკურსში.

„თქვენ უვევ დასრულებული მომღერალი ხართ, შესანიშნავი ხმა და იტალიური სიმღერის მანერა გაქვთ. წინ დიდი წარმატებები გელით“, – ასე გამოხმაურდა გელა ქოქიაშვილის წარმატებას სამტკოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი ევგენი (ყენია) ნესტერენკო.

მუსიკის მოყვარულებს ახსოვთ გელა ქოქიაშვილის მიერ თბილისის საოპერო სტუდიის სცენაზე შესრულებული ტენორის მთავარი პარტიები ოპერებიდან – „არსენა“, „ალეკო“, „სიყვარულის ნეტარი“, „მოქმემა“, მალხაზის არია ოპერიდან „დაისი“. „სცენაზე არაერთი პარტიონი მყავდა, მაგრამ გელას პარტიონობა სულ სხვა სტიმულს მძლევდა თავისი პროფესიონალიზმით, გამოცდილებითა და კაცური თვისებებით“, – წერდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სოპრანო მარცა მალაფაერიძე.

უვევ ჩამოყალიბებული და პროფესიონალი მომღერალი არც მხოლოდ კუთხის ივიწყებს. იგი მჭიდროდა დაკავშირებული საქართველოს სახალხო არტისტთან, კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილთან, ვისთანაც ერთად წლების განმავლობაში მონაწილეობს უამრავ საქველმოქმედო, სამეფო და საზეიმო კონცერტებში. 1968 წელს ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილის სახელის უკვდავსაყოფად და-

არსებულ სიმღერის ფესტივალ „ვანობაზე“ მთელი თორმეტი წლის განმავლობაში ღებულობს მონაწილეობას. მისი უმეტესო თაოსნობით სიღნაღში აღდგა ლეგენდარული მომღერლის სახლ-მუზეუმი, გამოცა მონოგრაფია „ვანო სარაჯიშვილი – ლეგენდარული ორფეუსი“, გამოვიდა გელა ქოქიაშვილის სცენარის მიხედვით გადაღებული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ტკბილ ჰანგთა მეფე“.


აღსანიშნავია გელა ქოქიაშვილის საქველმოქმედო საქმიანობა მუსიკის პოპულარიზაციის დარგში. იგი სრულიად უსასყიდლოდ, 30 წლის მანძილზე მონაწილეობდა აღნიშნული და თანამედროვე ქართველი, დასავლეთევროპელი, იტალიელი და რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებების მიხედვით ჩატარებულ ღონისძიებებსა და კონცერტებში. 1980 წელს მიენიჭა „კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება. იმავე წელს საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გამოსცა გელა ქოქიაშვილის მიერ შესრულებული ქართველი კომპოზიტორების სიმღერები და რომანსების გიგანტი ფირფიტა. მომდევნო პერიოდში გამოიცა კომპაქტდისკი ალბომის სახით, სადაც ქართულ ნაწარმოებებთან ერთად შესულია იტალიური არიები და პოპულარული ნეაპოლიტანური სიმღერები, სულ 27 ნაწარმოები.

ქართული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციის, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის 1999 წელს გელა ქოქიაშვილი „ღირსების ორდენით“ დაჯილდოვდა.

შესანიშნავი მომღერალი, ქართული ტრადიციების მატარებელი ადამიანი შესანიშნავი პუბლიცისტიც გახლავთ. მან ფუნდამენტურად გამოიკვლია და შეისწავლა ქართული სუფრის ისტორია, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ეთნოგრაფიული მასალები და პირად პრაქტიკულ გამოცდილებებზე დაყრდნობით ოთხ წიგნად გამოსცა. ახალგაზრდა თაობისთვის მეტად საჭირო წიგნი თარგმნილია რუსულ ენაზეც. მას მკითხველმა და სპეციალისტებმა „ქართული სუფრის ენციკლოპედია“ შეარქვეს.

გელა ქოქიაშვილი სასიამოვნო საქმიანობის პარალელურად მუშაობდა კვების მრეწველობის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე – საგვგომო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წამყვან ინჟინერ-ეკონომისტად, სადაც 1989 წელს დაიცვა დისერტაცია. მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 2023 წელს გახდა ევროპის საზღვრებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

გელა ქოქიაშვილს მწერალთა შემოქმედებებთან კავშირმა მიანიჭა „ქართული კულტურის ამგადარის წოდება“. არის ქალაქ სიღნაღის საპატიო მოქალაქე.



გელა ქოქიაშვილი – „ვანობის“ უსვლელი მონაწილე

ქართული კულტურისა და ხელოვნების ამგადარი, ღვაწლმოსილი, ქველმოქმედი ადამიანი გელა ქოქიაშვილი შესანიშნავი, ქართულ ტრადიციებზე დამყარებული და ფუძელდენი ოჯახის თავკაცია. ქალბატონ თამილა ცვაგარიშვილთან ერთად სამშობლოს ორი შესანიშნავი შვილი – ნინო და გიორგი აღუზარდა. ტკბილმოუბარი პაპა 85 წლის ასაკში თავს დაჰყოფინებს შვილიშვილ ანას. კვლავ მხნედ გამოიყურება, ეფერება მუსიკის სამყაროს კორიფეოთა სახელობის, შესანიშნავი წიგნებითა და პუბლიცისტური ნაწარმებით, ლამაზი ნოველებით გვანებივრებს ქართველ მკითხველს.

გილოცავთ დაუპიწყარ იუბილეს, მრავალშნობი ნიჭით დაჯილდოვებულ გარეშაგ, საუკუნედ სულ 15 ლამაზი წელიწადი... ერთად გვიხეივოს!

გაბუკა ვაშაკიძე



ტრიუმფი

ოქროს ღუბლი

გიმარაიშვილი (პორტუგალია), სადაც მატუბზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობენ...

პირველ საფეხურზე ასევე შეძლეს ანა ლაპაშვილმა და მაია ზოჭორიძემ, რომელთა გამოსვლამაც...

სუთი რგოლი

პირველი პერსხალი

გერმანულ-რომაულ ჭილაო-მაში ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირი მატუბში მიმდინარეობს...

97 კგ წონით კატეგორიაში მან იტალიის სახელით მოასპარევე ნიკოლოზ კახელაშვილს...



რედ ფინალისტებს ერგოთ პარონის ოლიმპიადის ლიცენზია. ჯერჯერობით, გერმანულ-რომაულ ჭილაო-მაში...

ევრო - 2024

ისტორიას ახსოვს...

როტორე მოგახსენებთ, ჩვენთვის ისტორიულ ევრო - 2024-ს გერმანიაში 10 სტადიონი უმასპინძლებს...

პიონთა თასზე დადგმული სპექტაკლი, რომელიც შვედი ენდის ნაცვლად გენიალური კვირ ვიგანის ძალისხმევით...




ლეგიონერი

სანდროს გაზაფხული

სანდროს მამუკელაშვილმა მოძებულ მანის გამოიყენა და სასტარტო სუთელში დაყენება გრეგ პოპოვიჩის კარგი თამაშით დაუფლდა...

დროში ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

ამ ყველაფრის შემდეგ სანდროს შემდეგ მთავარი კი ლეგენდარული მწვრთნელისთვის ის გახლავთ, რომ ამ ყველაფერთან ერთად სან ანტონიომ გასულით გამარჯვება მოიპოვა...



რომ ამ ყველაფერთან ერთად სან ანტონიომ გასულით გამარჯვება მოიპოვა, თანაც ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე დომინანტი ცენტრის - იონას ვალანჩუნასის ნიუ ორლეანთან.

ეს ყველაფერი კი 3 მატჩის წინ დაიწყო, როცა პოპოვიჩმა მამუკელაშვილი 20 წუთით ათამაშა და ქართველმა ფორვარდმა...

მონაგარი ორციფრისანი რიცხვით გამოდგება, რომელთაც ყველაზე მეტი - 17 ქულა ფრანგმა ვენდერკინდმა...

დასავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილზე მყოფ სან ანტონიოს რეგულარულ ჩემპიონატში 4 მატჩის ჩატარება დარჩა...

18 ივნისი

დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი (ყოფილი ვესტფალენშტადიონი). საქართველო - თურქეთი. რურის მხარე, ისევე როგორც მთელი გერმანია...




26 ივნისი

გელზენკირხენი. აუგუ შალკე. საქართველო - პორტუგალია. F ჯგუფისა და, ბერნის აზრით, მთლიანად ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს იმ სტადიონზე შევერკინებთ...

რაგბი ჩვენი თავაზია

ილიას სეზონი



საქართველოს ნაკრების წევრი ილია სპანდერაშვილი რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2024 წლის სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

ტატავაზა

15 ჩრეული

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრავის შეადგენლობა ევროპის ჩემპიონატისთვის ცნობილია. ჯვაროსნები ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში 9 ვაუს და 6 ქალის შემადგენლობით იასპარეზებენ...



ილია მეორე: ...ღმერთმა ინებოს, რომ სინარული სუფევდეს საქართველოში

გიორგიმ ხარაგაძის დღესასწაულს. ღმერთმა ინებოს, რომ სინარული სუფევდეს საქართველოში, - ამის შესახებ გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ქადაგებისას განაცხადა.

„როცა ვხვდებით ერთმანეთს, ჩვენ ვეუბნებით „გამარჯობა“; ჩვენ უნდა ვუთხროთ „გიხაროდნენ“, - ასე იყო ძველად. სინარული სუფევდეს საქართველოში და მთელ მსოფლიოში. ჩვენთან არს ღმერთი“, - განაცხადა პატრიარქმა.



7 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იდღესასწაულა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ხარების დღესასწაულის წარგზავნა.

7 აპრილს ჯვრის თაყვანისცემის - მესამე კვირიაკეც აღინიშნა.

მომლოცველნი თაყვანისცემენ მინდვრის ყვაილებით შემკულ ჯვარს, ეპითრიუბოდნენ მას. ამ წესით წმიდა ეკლესია შეეგაგონებს, რომ ჩვენ ხილულადაც ვხვდავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვთმარების, მსხეობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღვლელობის სიმბოლოს.

მაცხოვარმა ხომ ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთს!

გიული ლიპარტია

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს რამდენიმე გურბანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: რამდენიმე გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69 (საკადასტრო კოდი: 83.01.14.169).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი ხანით ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 3000 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 8 აპრილი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 22 აპრილი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HWP97567724; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 975677
6. მოვალე: რამდენიმე გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69; ფინანს ალიგა (პ/ნ 28001017196), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, პიდრის ზეინალოვის ქ. №87
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, საბურთალოს რაიონი.
8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღობოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგი“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HWP97567724; ლოტის ნომერი: 975677). ნებისმიერ პირს, ვისაც გაინია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 22 აპრილის 12:00 საათამდე.

არდავიწყება

შენ ცოცხალი ხარ ჩემო თინი...
ლიზა



კრიზისალი

მკვლელი ბრალდებულის ქვა აღმოჩნდა!

სამტრიაში მომხდარი მკვლელობის საქმე თავდაყირა დგება - 30 წლის ნატო ხელაძე, რომელიც პოლიციამ ქმრის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის ბრალდებით დააკავა, ციხეს, საგარეუდოდ, მალე დატოვებს. დაკავებულის ადვოკატი მაგდა კოტიკაძე ამბობს, რომ ქალს ბრალი გადაუკვალიფიცირდა. ნატო ხელაძეს გამოიძიება ამჟამად ცრუ ინფორმაციის მიწოდებას ედავება. ადვოკატის თანახმად, 40 წლამდე კაცი არა მისმა მუხლემ, არამედ ამჟამად დაკავებული ნატო ხელაძის ძმა მოკლა.

პოლონეთში უჩვეულოდ დასრულდა ქართული დასაქმების

პოლონეთის პოლიციის ცნობით, დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ყაჩაღობისთვის იძებნებოდა. უწყების ცნობით, 26 წლის ახალგაზრდა შჩეცინის ერთ-ერთ პოსტელში ამოიკენეს, გადაამონაშებინა კი აღმოჩნდა, რომ ის ძებნილი იყო.

ქართველი ახალგაზრდები ბერძენიაში სიგარეტების ქურდობისთვის დააკავეს

ბერძენიაში, სიგარეტის ქურდობისთვის 25 და 29 წლის ქართველები დააკავეს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქართველები პოლიციამ ქურდობის ადგილას დააკავეს. ჩხრევისას კლევეს რაიონის სამართალდამცემმა სიგარეტის კოლოფები, IQOS და ნაღდი ფული ამოიღეს. გარდა ამისა, შემონაშენისას აღმოჩნდა, რომ 25 წლის ქართველი მანქანას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, მართვის მონობის გარეშე მართავდა.

საბერძენეთში ქართველმა ქურდებმა 700 000 ევრომდე ღირებულების ნივთები მოიპარეს

საბერძენეთში ქართველთა კრიმინალური ორგანიზაცია გამოვლინდა, რომლის წევრებიც ატიკის სხვადასხვა რაიონში სახლებს ძარცვავდნენ. ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს. პოლიციის განცხადების თანახმად, უშიშროების სიცოცხლისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი დევნის სამართლებრივ დანაშაულებრივი ორგანიზაციის 5 ქართველი წევრი, 33, 34, 38 და 44 წლის ოთხი კაცი და 33 წლის ქალი, 2 აპრილს, ჩატარებული ოპერაციის დროს დააკავეს. ორგანიზაციის ლიდერად 44 წლის კაცი დასახელდა. პოლიციელებმა სახლებისა და ფიზიკური ჩხრევისას ამოიღეს: მანქანა, მოტოციკლი, 3 ლეპტოპი, 370 ევრო, მობილური ტელეფონებისა და სიმ ბარათები, ელექტრომონო-

ლობები, ქურდობის იარაღები, გასაღებები და ძვირფასეულობა. გამოძიების დაწყებებიდან დღემდე გახსნილია ძარცვისა და სახლებიდან ქურდობის 16 ფაქტი. ეკონომიკური სარგებელი 690 000 ევროზე მეტს შეადგენს.

ნაპირაპირი აბტორიული გაყიდვები

„ინფორმაციის“ ინფორმაციით, 40 წლამდე კაცმა, „ტილიტას“ მარკის ავტომობილი, რომელიც ნაქირაგები იყო, უცხო ქვეყნის მოქალაქეს 8 000 დოლარად მიჰყიდა. მედიკუმმა, მეორე დღეს, ავტომობილის გადაფორმებისას აღმოაჩინა, რომ ის არ იყო იმ პირის საკუთრებაში, ვისგანაც შეიძინა. დაზარალებულმა ფაქტის შესახებ პოლიციას აცნობა. სამართალდამცველებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 40 წლამდე მამაკაცი, საგარეუდოდ თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

უპრისმიერად სოლად მოყვანაზე უპრისმიერად

ღრამბა, რომელიც პარტნიორი კაცის ციხეში გამოკეტვით დასრულდა. მას შემდეგ რაც ქალმა პარტნიორისგან დიმიტრი არუთინიანისგან ცოლობაზე უარი მიიღო, იმ მოტივით რომ მას ოჯახი ჰყავდა, ქალმა უპრისმიერად განაგრძო. ვერ სახლში მოუვარდა, მანქანა დაუზინა, შემდეგ კი პოლიციაში უჩილა. დიმიტრი არუთინიანი უკვე რამდენიმე დღეა, ციხეშია. ასლა მოლაღობა ქმრის თავისუფლებისთვის მისი ცოლი იბრძვის, რომელიც ამბობს რომ ქმარს ლალატი აპატიო და იბრძოლებს იმისთვის რომ მან საპატიმრო დატოვოს.

ღაღა 16 წლის უპრისმიერად ქორწინებას აიძულებს!

პროკურატურამ არასრულწლოვნის მიმართ ქორწინების იძულების ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. დედა 16 წლის შვილს საკუთარი ნების წინააღმდეგოდ დაქორწინებას აიძულებდა. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით თვლიდა, რომ მისი არასრულწლოვანი შვილის აზრს მნიშვნელობა არ ჰქონდა და მას არ გააჩნდა არჩევანის უფლება. სამართალდამცველებმა ბრალდებული 3 აპრილს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ქორწინების იძულება, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სტადიონის მუშაობაზე მუშა დაიწყო

უმაღლესი შიშობაშია შიდა ქართლში - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში, სტადიონის მშენებლობაზე მუშა დაიწება. ადგილობრივი ინფორმაციით, 32 წლის კაცი მინის მასამ მოიყოლა და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.



ქართული ანიმაციის სალონის რუსთაველის თეატრში

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით რუსთაველის ეროვნულ თეატრში ქართული ანიმაციისადმი მიძღვნილი სალონო გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელგანთქნილი სტუდიების წარმომადგენლებიც. სალონზე შესრულდა ქართული ანიმაციისთვის შექმნილი ყველაზე ნაყოფიერი და საყვარელი მუსიკა, რომელთა ავტორებიც დიდი ქართველი კომპოზიტორები არიან, კერძოდ: ვია ყანჭელი, ჯანსუღ კახიძე, მერი დავითაშვილი, ალექსანდრე ბასილაია, ნუნუ გაბუნია და სხვა. პროექტის იდეის ავტორი და სალონის მთავრობელია ნიკოლოზ წულუკიძე, ხოლო პროექტის რეჟისორი – ნიკა საბაშვილი.

ღონისძიებაში მუსიკალური მენდის თანხლებით მონაწილეობა მიიღეს ყველა თაობისთვის საყვარელმა მომღერლებმა – ნუკრი კაპანაძემ, ლიბა ბაგრატიონმა, ნუგზარ კვაშაძემ, ნეკა სემისკვერაძემ, დათო ნობაძემ, მანანა თოდაძემ, ევა მამალაძემ, გიორგი სუხიტაშვილმა, ვოკალის აკადემიის კვარტეტმა, თეატრალურის კვარტეტმა. ღონისძიების მუსიკალური ხელმძღვანელი იყო ნიკა ნიკვაშვილი, ხოლო მუსიკალური პროდიუსერი – ნეკა სემისკვერაძე.

ნახევარი საუკუნე პარსკვლავური კარიერის დასაწყისიდან

შვედური ჯგუფის, ABBA-ს ევროვიზიაზე გამარჯვებიდან 50 წელი შესრულდა. 1974 წლის 6 აპრილს ABBA-ს ევროვიზიის კონკურსში გამარჯვება ჯგუფის კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება.

დიდი ბრიტანეთში გამართულ ევროფესტივალზე ჯგუფმა საკონკერსო სიმღერა Waterloo შეასრულა, რომელიც ევროვიზიის ისტორიაში საუკეთესო სიმღერად დასახელდა. მაშინ Waterloo ევროპის ათ ქვეყანაში პირველ ადგილზე გავიდა. სიმღერა ასევე ტოპ 3-ში იქცა ევროპის ფარგლებს გარეთაც, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და კანადაში, მოხვდა აშშ-ში, Billboard Hot 100-ის ტოპ ათეულშიც. 50 წლის წინ კონკურსში გამარჯვება იყო ABBA-ს ვარსკვლავური კარიერის დასაწყისი.



სიბრძნე სიცილისა...

- დედიშობილა კაცი მზადაა, დაიცვას ნებისმიერი მუნდირის ღირსება;
- ალტაცხულის მოტყუება ბევრად უფრო ადვილია;
- ცარიელია ჩანთის ზიდვა შინისაკენ გაცილებით ძნელია, ვიდრე საესესი;
- ოჯახური სიხარულების ტვირთი მძიმდება წლიდან წლამდე;
- მთავარი გამარჯვება კი არ არის, არამედ მისგან თავის არიდება;
- ჩვენში სულ უფრო მეტ მოქალაქეს სულ უფრო ნაკლები ფული აქვს;
- – არა, ბატონებო, წინააღმდეგი სულაც არა ვარ, უბრალოდ, ვერ დაგეთანხმებით!
- გზა შინისკენ ყოველთვის უფრო მოკლეა, ვიდრე უკანა გზა;
- გაბედულმა ასპირანტმა ანგელინ ვ-მ სასტიკი წინააღმდეგობა გააუწია ორ მძარცველს, რომლებმაც მისთვის ჩანთის წართმევა დააპირეს, სადაც მას სადიპლომო ნაშრომი ედო.
- ძვირფასო რედაქცია, გაგვაგებინეთ, შეიძლება თუ არა ყოველივე ჩაითვალოს დიპლომის დაცვად?
- ყველა არეულ ოჯახში ერთი ყოველთვის უმადური ტირანია, მეორე კი – მუდამ უტყინო ქათამი.
- სიცოცხლეს რაზეც დახარჯავ, მისი ფასიც ის არის.
- ცხოვრებისეული გამოცდილება – მეტად ძვირი რამაა, მაგრამ მყიდველი განა არის ვინმე?
- შენი სიკვდილით არ მოკვდე, ეგ ერთია, მაგრამ სხვისი ცხოვრებით იცხოვრო, სულ სხვა რამაა.



„ხალხური რენო აჭარაში“

– ამ სახელწოდებით გათუხი ახალი სახელმძღვანელო მოგვადგმა მიმდინარეობს, – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურნიზმის დეპარტამენტი ავრცელებს.

„აჭარის ტურნიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო ახალ სახელმძღვანელოს რევიზიაში არსებული და მივიწყებული რეწვის დარგების პოპულარიზაციის მიზნით ამზადებს. წიგნის მოსამზადებლად აჭარაში მივიწყებული დარგების კვლევა-შესწავლა განხორციელდა, მასალა დასურათდა და გზამკვლევი გაერთიანდა. მასში ვრცელი თავები ეთმობა ფეიქრობას, მეთუნეობას, ხალხურ მეტალურგიას, ხითხურობას, ქეთხურობასა და ქართულ ხალხურ დეკორს. წიგნის შეტანა მისი ბოლომდე იგეგმება.“



„ხალხური რეწვა აჭარაში“ რიგით მეხუთე წიგნია, რაც ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მოამზადა. წიგნებს შორისაა „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“, „თევზეული ქართულ სამზარეულოში“, „ხალხური ტრადიციები და რიტუალები აჭარაში“ და „ხალხური თამაშობები აჭარაში“.

ლემენდარული KISS-ი უკლებს კომპანია „ნიკა“




ლემენდარულმა ამერიკულმა როკ-ჯგუფმა Kiss თავისი სიმღერების კატალოგი შეედურ მუსიკალურ კომპანიას საგარეულოდ 300 მილიონ დოლარად მიჰყიდა.

კომპანია Pophouse Entertainment ასევე შეიძინა ჯგუფის ბრენდი და ინტელექტუალური საკუთრება. ამ ხელშეკრულებით დავერგვინდა ჯგუფის მსოფლიო ტური „გზის დასასრული“, რომლის შემდეგაც ჯგუფმა მუსიკალური ინდუსტრია დატოვა. ის რომ კომპანიას აქვს უფლებები არა მხოლოდ Kiss-ის მუსიკაზე, არამედ ჯგუფის ბრენდზე, ნიშნავს იმას, რომ მომავალში შედგენილი კომპანია ჯგუფის მონაწილეობით ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი კონტენტის გამოშვებას შეძლებს. სწორედ ამ კომპანიამ შექმნა Kiss-ს ჰოლოგრამული კონცერტები.

Kiss-ი 1973 წელს პოლ სტენლიმ და ჯინ სიმონსმა დააარსეს. ჯგუფი ცნობილი გახდა წევრების გრიმით და კონცერტებით, რომლებზეც გამოიყენებოდა პირბრუნვა. მანამდე უფლებები საკუთარ სიმღერებზე ზომ დილანმა და ბრიუს სპრინგსტინმა გაყიდეს.

უსხელესი აპრილი საფრანგეთში

საფრანგეთის სამხრეთ რეგიონებში ჰაერის ტემპერატურის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა, ჰაერის ტემპერატურა ზოგან 31 გრადუსს აღწევს, რაც წელიწადის ამ დროისთვის იშვიათი მოვლენაა.



სინოპტიკოსები ჰაერის ტემპერატურის მატებას ჩრდილოეთ აფრიკიდან მომავალი სითბური ტალღებით ხსნიან. ესპანეთის საზღვართან მდებარე ქალაქ ორტეში პარასკევს ჰაერის ტემპერატურამ 31 გრადუსს მიაღწია. ამავე რეგიონის ქალაქ ბიარისში 4-დან 5 აპრილამდე პირველი „ტროპიკული ღამე“ დაფიქსირდა, ტემპერატურა მთელი ღამის განმავლობაში 20 გრადუსი იყო. შედარებისთვის, 2023 წელს ზაფხულის სეზონში ქალაქისთვის პირველი „ტროპიკული ღამე“ 7-8 ივნისს დაფიქსირდა. ზღვის დონიდან 1 500 მეტრზე, მთებში მოსალოდნელია ტემპერატურის 2 გრადუსამდე მომატება, რაც აპრილის დასაწყისისთვის უჩვეულოა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS REPUBLIKA

ა.ნავროსის №116 (ფიფა პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა მამუკაძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემომცემლობითი
ჯგუფი:

ალეკო ასლანიშვილი
გია ალატონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-
კორექტორები:

ნაირა კიკელია,
მანია იორაბაშვილი,
ოპარატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17

rkobulia29@gmail.com

ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

გამომცემელი:

შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

ივანეძევა სტამბა
„კოლორი“
ი. პაღლაშვილის №3

„კოდორი“ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



ავტორთა
საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ
შეუპყვეთაპი მასალაპი
დაიზავდა
ავტორთა ხარჯით.

გაზეთის
მომღებო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
10 აპრილს

საქართველოს რესპუბლიკის

საგარეო ურთიერთობების მინისტრის
საგარეო ურთიერთობების განყოფილება

საგარეო ურთიერთობების განყოფილების
საგარეო ურთიერთობების განყოფილება

საგარეო ურთიერთობების განყოფილების
საგარეო ურთიერთობების განყოფილება

აპრილი 8 აპრილისთვის

ალფონსავალიტი საგარეო ურთიერთობების განყოფილება

ბარნი	ლაპე	+5,	ფეპ	+14
მიმანი რევიზია	ლაპე	+2,	ფეპ	+12
დასავალიტი საგარეო ურთიერთობების განყოფილება				
ბარნი	ლაპე	+7,	ფეპ	+24
მიმანი რევიზია	ლაპე	+5,	ფეპ	+20
თბილისი:	ლაპე	+9,	ფეპ	+12

დაგვირეკით, მოგვწერით:

ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17

ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge